

**INSTITUTE FOR
WAR & PEACE REPORTING**



ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი

www.iwpr.net

მშვიდობის გაშუქების ექვსი სავალდებულო წესი ჟურნალისტებისთვის

I. ვალდებულება გაერკვე კონფლიქტში:

- ვალდებულები ვართ გამოვიკვლიოთ და გავიგოთ კონფლიქტის არსი და მისი მოგვარების გზები მანამ, სანამ დავიწყებთ მის გაშუქებას.
- უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ განვითარდა კონფლიქტი და მისი გადაჭრის რა გზები შეიძლება არსებობდეს; საჭიროა გვქონდეს წარმოდგენა „ომის კანონების“, კონფლიქტოლოგიისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესების შესახებ.
- იგივე წესი მოქმედებს სპეციალიზებული/დარგობრივი საკითხების გაშუქებისას:
 - მაგალითად, მედიცინასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, ჩვენ წინასწარ ვეცნობით ლიტერატურას კონკრეტული სამეცნიერო მიმართულების ან ტექნოლოგიების შესახებ.
 - შესაბამისად, რატომ უნდა ხდებოდეს კონფლიქტების გაშუქება სხვაგვარად?

II. ვალდებულება გააშუქო სამართლიანად:

- ვალდებულები ვართ კონფლიქტი გავაშუქოთ სამართლიანად და დავიცვათ ბალანსი.
 - ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ კონფლიქტის დროს მოხდეს ყველა მნიშვნელოვანი კომპლექსური საკითხის, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების თუ ქვეჯგუფების შეხედულებების გაშუქება.
 - იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარეს ვანიჭებთ უპირატესობას, ჩვენ, როგორც ჟურნალისტები ვალდებულები ვართ ამის შესახებ ნათლად გავაგებინოთ მკითხველს.
- ისევე როგორც პირველი წესის შემთხვევაში, ეს წესიც ნებისმიერი სფეროს გაშუქებას ეხება.

III. ვალდებულება გააშუქო კონფლიქტის წინაპირობა და მიზეზი:

- საჭიროა ზუსტად წარმოვაჩინოთ ყველა მხარის როგორც ლეგიტიმური ისე მცდარი უკმაყოფილება.
- უნდა გვახსოვდეს და უნდა შევახსენოთ მკითხველსაც, რომ უკმაყოფილება, თუნდაც მცდარი, ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც კონფლიქტის გახანგრძლივების, ისე მისი მოგვარების თვალსაზრისით.

IV. ვალდებულება წარმოაჩინო ადამიანური მხარე:

- ვალდებულნი ვართ წარმოვაჩინოთ კონფლიქტის ნებისმიერ მხარეს მყოფი ადამიანების ტრავმა და პირადი ისტორიები დაბალანსებულად, პროფესიონალურად, ძალდატანების გარეშე.
- ეს ვალდებულება გვაქვს არა მარტო იმ ხალხის მიმართ, ვის ამბავსაც ვაშუქებთ, არამედ ჩვენი მკითხველის მიმართაც.

V. ვალდებულება გააშუქო სამშვიდობო ინიციატივები

- ვალდებულები ვართ გავაშუქოთ მშვიდობის დამყარებისა და მხარეების შერიგებისკენ გადადგმული ყველა ნაბიჯი, იმავე მოცულობით რა მოცულობითაც ვაშუქებთ კონფლიქტის გამწვავებისკენ მიმართულ მცდელობებს.
- აქტიურად უნდა ვეძებოთ წყაროები მტრულად განწყობილ მხარეთა მიღმა, განსაკუთრებით კი ისეთი რომლებსაც აქვთ უნარი გასცდნენ მოვლენათა მარტივი, ბიპოლარული ინტერპრეტირების ფარგლებს. ასეთი ჟურნალისტიკა აფართოებს საზოგადოების თვალსაწიერს და ზრდის ცოდნას კონფლიქტის შესახებ.
- ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ რომელიმე კონკრეტულ პოზიციას ვუჭერთ მხარს ან ვახდენთ „მშვიდობის პროპაგანდას“. უბრალოდ, უნდა მოხდეს როგორც სამშვიდობო ინიციატივების, ასევე ომის მომხრეთა ან წამქეზებელთა გაშუქება.

VI. ვალდებულება აღიარო საკუთარი გავლენა:

- ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ის რასაც ჩვენ ვაშუქებთ გავლენას ახდენს, არა მხოლოდ კონფლიქტის მსვლელობაზე, არამედ ადამიანების ცხოვრებაზეც.
- ყოველთვის უნდა ვიყოთ ფხიზლად, რათა არ მოხდეს ჩვენი ბოროტად გამოყენება ერთი ან მეორე მხარის მიერ ომის ან ძალადობის წასაქეზებლად. მსგავსი შემთხვევების არსებობისას უნდა მოხდეს მათი გამოამჟღავნება, როგორც მედიით მანიპულირების მცდელობა.